პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) სენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინრჩევლთა დეპუტატთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 2 დეკემბერი, 1947 წ. № 239 (8023). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია

კიროველ დაზგათმშენებელთა პატრიოტული მოწოდება — მოწერილია (1-ლი გვერდი).

ქალაქ მოსკოვის სტალინის რაიონის № 85 საარჩევნო ოლქი — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი რეგისტრირებულია მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად (1-ლი გვერდი).

ფართოდ გავაჩაღოთ მუშათა მოძრაობა წლიური და ხუთწლიანი გეგმების ვადამდე შესასრულებლად (1-ლი გვერდი).

ქალაქ მოსკოვის № 120 საარჩევნო ოლქი — ვიპიხესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი რეგისტრირებულია მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად (მე-2 გვერდი).

ლენინგრადი პავლეს-ძე ბერია რეგისტრირებულია მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად (მე-2 გვერდი).

ი. კობერია — ბოლშევიზიური პარტიის XVII კონფერენციის (მე-2 გვერდი).

ხუთშოლედი — ოთხ წელიწადზეი (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება (მე-3 გვერდი).

საბჭოთა საქმეთა მინისტრების საბჭოს ლენინგრადის სესიაზე (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეკეშები (მე-4 გვერდი).

კიროველ დაზგათმშენებელთა პატრიოტული მოწოდება

დიდი ოქტომბრის XXX წლისთავის ღირსეული მეხეედრისთვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში საქართველოს მრეწველობის მუშაკებმა თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს. მაკავალა საწარმომ ვადაზე ორი თვით ადრე შეასრულა წლიური გეგმა. რუსთაველის დაზგათმშენებელმა და მანქანათმშენებელმა საწარმოებმა წელს ათვისეს და გამოუშვეს ათობით ახალი ტიპის ტექნიკის ფაზა და მანქანა. საქართველოს საგეომფონ მრეწველობამ დიდი ხანია გაანაღდა წლიური გეგმა და ამჟამად ახალი ხუთწლიანის მესამე წლის ანგარიშში იძლევა პირადუქციას. წლიური საწარმოო გეგმები ადრეადვე შეასრულეს თბილისის ტყალინისა და მოლოტოვის რაიონების სამრეწველო საწარმოებმა. 27 ნოემბრისათვის წლიური გეგმა შეასრულა ქუთაისის მრეწველობამ. მაღალნაყოფიერად მეშაობს ჩვენი რესპუბლიკის საფეიერო მრეწველობა, რომელმაც 29 ნოემბრისათვის შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. საქართველოს ფეიერებმა წელს 11 თვეში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სამშობლოს მიაგეს 80 ათასი მეტრით მეტი ბრეზენტის, 500 ათასი მეტრით მეტი შალისა და ერთი მილიონი მეტრით მეტი ბამბეულის ქსოვილი.

დიდია მრეწველების ყველა დარგის წარმატება, მაგრამ ჩვენი სამშობლოს მშრომელებს როდი სწყვეთთ მიღწეულთან დაკმაყოფილება. ჩვენი მიზანი შუდმივი წინსვლა, მეტი წარმატების მოპოვება, სოციალიზმის ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შემდგომი ამაღლებაა. ამ მიზანს ემსახურება მთელ ჩვენს თვალწინდევ სამშობლოში ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება. „შეჯიბრების ფართო გაქანება და მაღარსი განსაზღვრავენ ახლა ყველაზეს საჭიროა ადამიანებს შორის შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების დონეს“ (ვ. ბ. მოლოტოვი).

ლენინგრადელთა ახალმა პატრიოტულმა მიმართვამ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შესახებ მხურვალე კამოხმაურება პოოვა ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებისა და ტრანსპორტის კოლექტივებს შორის. მიმართვის გამსაზღვრელად მოწვეული კრებებზე თვითეული სტახანოველის, ინჟინერ-ტექნიკოსის, ოსტატის, საამქროებისა და საწარმოთა ხელმძღვანელის გამოსვლა გამსჭვალული იყო მეზობელი პატრიოტებისადმი, სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარულის, ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულების გრძნობით, მეტი წარმატებების მოპოვებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით, სამშობლოს წინაშე თავისი მოვალეობის ღრმა შეგნებით. მშრომელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ლენინგრადელთა პატრიოტულ თაოსნობას, მათ იკისრეს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულება. ისინი ოთხ წელიწადში მთელ ძალებს ამ დანიშნის შესასრულებლად.

დღეს ჩვენ ვეკვეკუნებთ კიროველ სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის სტახანოველთა წერილს ქალაქ თბილისის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა ყველა მუშის, ინჟინერ-ტექნიკოსისა და ოსტატისადმი. კიროველი დაზგათმშენებელები თავიანთ წერილში მოგვითხრობენ იმ წარმატებებზე, რაც მათ ახალი ხუთწლედის განხორციელებისათვის ბრძოლის გზაზე მოიპოვეს. ეუშმარტოდ საამაყოა ეს წარმატებანი. კიროველებმა ათ თვეში გვანადგურეს წლიური გეგმა, უკვე გადაადგარეს წარმოების ოამაძდელ დონეს, წელიწადსა და ათ თვეში თორმეტჯერ მოიპოვეს სპატიო ადგილი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამ წარმატებებთან აღფრთოვანებული ისინი სწერენ: „ლენინგრადელთა მოწოდების პასუხად ჩვენი ქარხნის კოლექტივმა იკისრა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის შესრულება 1949 წლის ბოლოდეი და ჩვენი ძირითადი პროდუქციის — დაზგა „დიპ-300“-ის — შრომატევადობის 30 პროცენტით შემცირება. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების ღისანშნაკად გადაწყვეტილი გვაქვს მიმდინარე წლის ბოლომდე სამშობლოს წლიური — გეგმის გადამეტებით მივეცეთ 3 მილიონი მანეთის სასაჭონლო პროდუქცია“. უფრო გადადებული საწარმოო ვალდებულებები იკისრეს წარჩინებულმა სტახანოველებმა, რომლებიც მოუწოდებენ თბილისის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა კოლექტივებს გაამძლიერონ ბრძოლა ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად.

კიროველი დაზგათმშენებლების წერილს ფართოდ უნდა გამოეხმაუროს არა მარტო თბილისის, არამედ საქართველოს ყველა საწარმოს კოლექტივი. ღღეისათვის ჩვენი მრეწველობის შინაგანი, ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები. ამ რეზერვების გამოვლინება, წარმოების ტექნიკის ღრმად დაეუღება, დაზგა-დანადგარების მაქსიმალური სიმძლავრით გამოყენება — ეარა სწყვეტს წარმატების საკითხს, აირით ალწევენ წარჩინებული სტახანოველები შრომის უჩვეულო ნაყოფიერებას.

ლენინგრადელთა მიმართვის სპასუხედ გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში საწარმოთა მრავალი სტახანოველი უკვე შეუდგა შრომის ახალი მეთოდებით მუშაობას, გაეუმჯობესა წარმოების ტექნოლოგიური პროცესი და ამ გზით თვალსაჩინოდ გაადიდა შრომის ნაყოფიერება. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველები მღარავმა ლ. გოკაძემ მანქანათა დეტალების დამუშავების ტექნოლოგიის გაუმჯობესებით შრომის ნაყოფიერების ეარიანტებს ეარიანტ ეაადგენს. ამავე ქარხნის სტახანოველმა ზეინკალმა შ. ომანაძემ ნოემბერში ერთიორად მეტი პროდუქცია გამომიშავა, ვიდრე გათვალისწინებული იყო. მრავალ სანარმოში სტახანოველები, ტექნოლოგები და ოსტატები სახავენ ღონისძიებებს გამომუშავების ნორმების უფრო გადადებულთათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისათვის.

ამოცანა ეს არის, რომ თვითეული მუშა სიფუძვლიანად დაეუფლოს შრომის სტახანოველურ მეთოდებს, სისტემატიურად ამაღლოს კვალიფიკაცია, გადაკვარბებით შეასრულოს ყოველდღიური ნორმები.

ფართოდ გამოვეხმაუროთ კიროველთა წერილს, ახალი საწარმოო ამოცანებით აღენიშნოთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღე; წარმატებით დავამთავროთ სამეუნერო წელი, უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად.

ქალაქ მოსკოვის სტალინის რაიონის № 85 საარჩევნო ოლქი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

რეგისტრირებულია მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

29 ნოემბერს საზეიმო ვითარებაში შესდგა მოსკოვის საქალაქო საბჭოს არჩევნების სტალინის რაიონის № 85 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. სხდომაზე მოვიდნენ იმ კოლექტივების მშრომელთა მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები, რომლებმაც დიდი სტალინის კანდიდატურა დაასახელეს.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეად ამხ. ნ. ა. პეტროვსკიმ სხდომის გახსნისას მქუხარე ტაშში გამოაცხადა სასახარეო ამბავი: იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი დათანხმდა კენჭი იყაროს მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე 85-ე საარჩევნო ოლქში.

სხდომის დღის წესრიგში ერთი საკითხია — მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის რეგისტრაცია. პირველი სიტყვა თხოულობს მოტორმშენებელი ქარხნის წარმომადგენელი — საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ე. უსტრნოვი. გულთბილად ლაპარაკობს მოტორმშენებელთა დელეგატი ამხანაგ სტალინზე, რომელიც კოლექტივმა ერთსულოვნად დაასახელა მოსკოვის საბჭოს დეპუტატობა. — ამხანაგ სტალინის სახელთან დაკავშირებულია ჩვენი საამბოხო ლეტორიული ეპოქა ამხანაგ სტალინის სახელით საბჭოთა კავშირის ხალხებმა უდიდესი გამარჯვება მოიპოვეს დიდ სამამულო ომში და ახლა წარმატებით ასრულებენ ომისშემდგომი ხუთწლედის გეგმას. საბჭოთა ადამიანებისთვის არ არსებობს უფრო ძვირფასი საზეო, ვიდრე იოსებ ბესარიონის-ძის სახელია! ან ამიტომ დღეს ჩვენ უდიდესი სიხარულით შეეხვედით ცნობას, რომ ამხანაგი სტალინი დათანხმდა კენჭი იყაროს მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე № 85 ოლქში ჩვენი ქარხნის კოლექტივისაგან. (ტაში).

კოლექტივის სახელით ამხ. უსტინოვი სთხოვს საოლქო საარჩევნო კომისიას რეგისტრაციაში გაატაროს ამხანაგ სტალინის კანდიდატურა. ამხ. უსტინოვმა კომისიის თავმჯდომარეს გადასცა საერთო კრების ოქმი და სთქვა:

— ამხანაგ სტალინის თანხმობა, კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში, აღფრთოვანებულ მოტორმშენებლებს ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის საბრძოლველად. მეგზალი მიერ აღმოჩენილი დიდი ნდობა თვითეულ ჩვენთაგანს გვავალებს ეიმრძოლოთ ძალების დაუზოგავად. ჩვენი საყვარელი სამშობლოს შეფდგომი აყვავებისათვის!

სიტყვას ამბობს ზჩრაბაკოვის სახელობის კომბინატის წარმომადგენელი ამხ. ნ. მ. ფილიმონოვი. იგი ლაპარაკობს იმ აღფრთოვანებაზე, რომლითაც კომბინატის კოლექტივმა მხარი დაუჭირა მოტორმშენებელთა წინადადებას — დასახელებულ იქნას ამხანაგი სტალინი მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. მეშის სიტყვებში მოისმის უდიდესი მადლობა ბელადისადმი იმ მზრუნველობისათვის, რასაც იგი ხალხის მიმართ იჩენს.

— იოსებ ბესარიონის-ძე მთელ ძალს, მთელ ენერგიას აბარებს ხალხის სამსახურს, — ამბობს ამხ. ფილიმონოვი. — იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ყველა მშრომელთა საჭიროებისადმი. დედაქალაქის „რეკონსტრუქციის სტალინურმა გეგმამ დიდად შესცვალა მოსკოვი და გადააქცია იგი მსოფლიოს უმშვენიერეს ქალაქად.

ამხ. ფილიმონოვი ლაპარაკობს იმ უდიდეს ინმაგალობაზე, რაც ამ დღეებში სუფევს კომბინატის საამქროებში. ლენინგრადელთა მოწოდების სასასუხოდ მუშებმა იკისრეს ახალი ვალდებულებანი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესასრულებლად. ამხანაგ სტალინის თანხმობა — კენჭი იყაროს 85-ე საარჩევნო ოლქში, აღფრთოვანებს კოლექტივს ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის.

ამხ. ფილიმონოვა სთხოვს საოლქო საარჩევნო კომისიას რეგისტრაციაში გაატაროს ამხანაგი სტალინი მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ასეთივე თხოვნით მიმართეს თავიანთ სიტყვებში ლენინგრადის ქარხნის კოლექტივის წარმომადგენელმა ი. ვ. ლობანოვმა და მანქანათმშენებელი ქარხნის ინჟინერმა ვ. ი. გრიგენშეიკოვმა.

საოლქო კომისიის თავმჯდომარე და წევრები ყურადღებით ეენობიან საერთო კრებების ოქმებს. ყველა დამსწრეთა მქუხარე ტაშით კომისია ერთსულოვნად იღებს გადაწყვეტილებას — რეგისტრაციაში გაატაროს ამხანაგი სტალინი მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

სხდომის დახურვისას საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. პეტროვსკი მხურვალედ მიულოცავს დამსწრეთ იმ მაღალ ნდობას, რომელიც ამხანაგმა სტალინმა კვლავ აღმოუჩინა სტალინის რაიონის ამომრჩევლებს.

— ეს მაღალი ნდობა თვითეულ ჩვენთაგანს გვავალებს ეიბრძოლოთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს შემდგომი განმტკიცებისა და აყვავებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის!

მქუხარე ოვაციას მართავენ დამსწრენი, როცა თავმჯდომარე გამარჯვებას უსურვებს დეპუტატობის საყოველთაო-სახალხო კანდიდატს — დიდ სტალინს.

დადგენილება

ქალაქ მოსკოვის სტალინის რაიონის № 85 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიისა

არჩევნების დეპუტატის საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადგინა:

1. რეგისტრირებულ იქნას მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, დასახელებული ლენინის ორდენსან მოტორმშენებელი ქარხნის, ლენინის ხელობის ქარხნის, შრერბაკოვის სახელობის კომბინატისა და მანქანათმშენებელი ქარხნისაგან, მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს № 85 საარჩევნო ოლქში კენჭის საყრელად

2. არჩევნების დეპუტატის საფუძველზე შეტანილ იქნას დეპუტატობის კანდიდატი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი საარჩევნო ბიულეტენში მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს № 85 საარჩევნო ოლქში კენჭის საყრელად.

3. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს საყოველთაო ცნობისათვის.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნ. ა. პეტროვსკი

თავმჯდომარის მოადგილე ნ. ა. ბონდარი

კომისიის წევრები: ქარავა, ი. ა. სევერგინი, ი. ვ. სევერგინი

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ზ. ს. ტიხონოვარინი.

(საკვლევი).

ფართოდ გავაჩაღოთ მუშათა მოძრაობა წლიური და ხუთწლიანი გეგმების ვადამდე შესასრულებლად

ქალაქ თბილისის მრეწველობისა და ფრანსპორტის საწარმოთა ყველა მუშას, ინჟინერს, ტექნიკოსსა და ოსტატს

ძვირფასო ამხანაგნო!

ახალი შრომითი ამაღლების სასახარული ღღეებს განიცდის მთელი ჩვენი საბჭოთა სამშობლო. საზეიმოდ ლენინგრადელების პატრიოტულმა მოწოდებამ — შეეასრულოთ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედი ოთხ წელიწადში — მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში.

ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ ყველა პირობა გვაქვს. ამის მკაფიოდ მოწმობენ დიდი ოქტომბრის ოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, ათასობით საწარმომ თავისი წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის გაანაღდა და გარდა ამისა გამოვლინებულ იქნა დიდძალი რეზერვები, რომელთა უნარიანი გამოყენება საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო გაეძლიერთთ მრეწველობის მუშაობის ტემპი.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი შედეგი იყო მუშების მიერ წლიური საწარმოო დავალებების მასობრივად შესრულება. ჩვენ სიამაყით წავიკითხეთ ამხანაგ მოლოტოვის სიტყვები, რომელიც მან სთქვა დიდი ოქტომბრის 30 წლისთავზე საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებაში დაწინაურებული სტახანოველების წარმატებათა შესახებ.

— „ახლა, — სთქვა ამხანაგმა მოლოტოვმა,— ფართოდ გავრცელდა ახალი მოძრაობა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ცალკე მუშები კისრულობენ პირადს ვალდებულებას ვადამდე შეასრულონ წლიური გეგმები და მთელისაგან ხუთწლეული, რაც ომამდელ პერიოდში არ ყოფილა. მოსკოვში, ლენინგრადში, დონბასსა და მთელ ჩვენ ქვეყანაში წარმატებით კითარდება ეს მოძრაობა, რომელიც მოწმობს მუშების სოციალისტურ შეგნებულობას“.

მუშათა ეს ახალი მოძრაობა გვიჩვენებს იმ ფუძეს შემოქმედებითს ძალას, რაც შესწევს საბჭოთა ხალხს და რასაც იგი ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით ესოდენ წარმატებით იყენებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დიდებისა და ძლიერების შემდგომი ამაღლებისათვის ბრძოლაში. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ეს მოძრაობა კიდევ უფრო ფართოდ ვითარდება ახლა, ომისშემდგომი ხუთწლიანი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შესახებ ლენინგრადელთა მეზობლური მოწოდების შემდეგ. სტახანოველებსა და დამკვრელებს შეგვიგებული აქვთ, რომ წლიური გეგმების ვადამდე განაღდებით ისინი აჩქარებენ ხუთწლედის შესრულებას.

ჩვენმა ქარხანამ წლიური გეგმა 1 ნოემბრისათვის გაანაღდა. შარშანაც წლიური დავალება ოქტომბრის დღისასწაულისათვის შევასრულეთ. ამჟამად ჩვენმა ქარხანამ უკვე შესამჩნევად გადაალახა ომამდელ დონეს და ახალი სტალინური ხუთწლედის დასაწყისისადან, ე. ი. 1 წელიწადსა და 10 თვეში სრულიად საკავშირო „სოციალისტურ შეჯიბრებაში“ თორმეტჯერ მოიპოვა სამპატიო ადგილი და პრემია ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი.

ახალი მოძრაობა, რაზეც ამბობდა თავის მოხსენებაში ამხანაგი მოლოტოვი, წარმატებით ჩაიდგა ჩვენს ქარხანაშიც. 200-ზე მეტმა მუშამ ვადამდე, დიდი ოქტომბრის 30 წლისთავისათვის შეასრულა წლიური ნორმა. განვლილ 1 წელიწადსა და 10 თვეში ჩვენს ქარხანაში მომუშავე 35 სტახანოველმა შეასრულა 5-9 წლის ნორმა. ჩვენს შორის არიან ძველი მუშები, რომლებიც აქ მუშაობენ ქარხნის დაარსების დღიდან, მაგალითად, ბენედიანიშვილი, ფირცხალავა, გაბაძე, სოლონიცინი. არიან ახალგაზრდა სტახანოველებიც, რომლებიც დიდი ხანი არაა, რაც ჩვენს ქარხანაში მოვიდნენ — მაგალითად, ბედოშვილი, ჩიხრაძე, მაკაროვი და სხვები. შრომის მაღალ ნაყოფიერებას მივაღწიეთ საკუთარი კვალ ფიკაციის ამაღლებისათვის შეუნელებელი მუშაობის, გაუმჯობესებული, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, ტექნიკურ სიახლეთა ვამეცდოდად ვამოყენების და ოგრეთვე ადგილობრივი ოსტატების, ტექნოლოგების, ინჟინრების მუდმივი დახმარებით. დიდად შეგვწყო ავრეთვე ხელი როსლიკის, მატროსოვის, ტექნოლოგ ივანოვის მეთოდების გამოყენებამ, სტახანოვური განრიგით მუშაობის დანერგვამ.

ლენინგრადელთა მოწოდების პასუხად ჩვენი ქარხნის კოლექტივმა იკისრა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის შესრულება 1949 წლის ბოლომდე და ჩვენი ძირითადი პროდუქციის—დაზგა „დიპ-300“-ის—შრომატევადობის 30 პროცენტით შემცირება. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების ღისანშნაკად გადაწყვეტილი გვაქვს მიმდინარე წლის ბოლომდე სამშობლოს წლიური გეგმის გადამეტებით მივეცეთ 3 მილიონ მანეთის სასაჭონლო პროდუქცია. ქარხანა ფართოვდება, ახალი აღჭურვილობით მდიდრდება. მომავალი წლიდან მწყობრში ჩადგებიან ახალი საწარმოო კორპუსები და საცხოვრებელი სახლები.

ქარხნის კოლექტივთან ერთად ლენინგრადელთა მოწოდების პასუხად ჩვენც ვიკისრეთ ახალი ჩვენი პირადი საწარმოო ვალდებულებანი. აქეს რა თვითეულ ჩვენგანს პირად ანგარიშზე 5-დან 9-მდე წლიური ნორმის შესრულება, ხუთწლედის დასასრულამდე დარჩენილ წლებში ვკისრულობთ:

ი. ბენედიანიშვილი, ი. ფირცხალავა, ტ. ვდოვინა, ნ. მაკაროვი და ი. არტემოვი — შევასრულოთ 9 წლის ნორმა; გ. ბედოშვილი და ბ. კუჩა — 8 წლის ნორმა; პ. ლუკანსკი და ი. უკოლოვი— 7 წლის ნორმა; ე. ჩიხრაძე, პ. სოლონიცინი, ტ. ჩარკვიანი, ფ. ვოლოვიკი, ი. პეტროიანეი, ა. ლობარი და ვ ლეონოვი—ექვსი წლის ნორმა.

გარდა ამისა ოვითეული ჩვენგანი კისრულობს უახლოესი ორი წლის მანძილზე მოამზადოს რამდენიმე ახალმოსული და ამით ღაიზმაროს ქარხნის კოლექტივს საწარმოო გეგმის ვადამდე განაღდებაში.

მოვუწოდებთ თბილისის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა კოლექტივებს, ქარხნებისა და ფაბრიკების ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკოსსა და ოსტატს კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ ეს მოძრაობა, საქმით გამოუხმაურონ ლენინგრადელთა მოწოდებას, ღირსეულად აღნიშნონ შრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები და კიდევ მეტი საწარმოო ინიციატივა გამოიჩინონ წლიური გეგმების ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

ბევრი რამაა ღამოკიდებული წარმოების მეთაურებზე — ინჟინრებსა, ტექნიკოსებსა და ოსტატებზე. ისინი მოვალენი არიან ღაეხმარონ ყველა მუშას შრომის უკეთესად მოწყობაში, კვალიფიკაციის ამაღლებაში, ახალი ტექნოლოგიის ათვისებაში, გაუმჯობესებული ხელსაწყო-ინსტრუმენტების გამოყენებაში.

მოვუწოდებთ ყველა სტახანოველს, რომელმაც უკვე შეასრულა წლიური გეგმა და ასრულებს ხუთწლედს, შეფობა გაუწიონ ჩამორჩენილებს, აიყვანონ ისინი მოწინავეთა დონეზე, და ფართოდ გადასცენ მათ თავიანთი გამოცდილება. უნდა მიეგღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ არ გვეყოლოს არც ერთი მუშა, რომელიც თავის ნორმას ვერ ასრულებდეს.

მიეგღწიოთ მუშათა ახალი ღირსშესანშნავი მოძრაობის შემდგომ ამაღლებას, ღირსეულად შეეხვედეთ ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს ღღეს! შეეასრულოთ ხუთწლედი ოთხ წელიწადში!

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის სტახანოველები: ზეინკლები **ა. ბენდიანი შვილი, ი. ფირცხალავა, ი. არტემოვი, ი. მაკაროვი, ბ. ბედოშვილი, ა. მაზმანიანი, ბ. კუჩა,** მეშვიდეები **პ. ლუკანსკი,** მეთაბეები **ბ. ბაბაძე,** მეხუთეები **ტ. ვდოვინა,** მეოთხეები **ე. ჩიხრაძე,** ხარატები **ი. უკოლოვი, ტ. ჩარკვიანი, ი. პეტრიანეი, ვ. ლეონოვი,** მრანდავები **ა. ლობარი, პ. სოლონიცინი, ფ. ვოლოვიკი.**

მოსკოვს ჩამოვიდა ბელგია-ლუქსემბურგის საელჩო

28 ნოემბერს მოსკოვს ჩამოვიდა ბელგია-ლუქსემბურგის საგანგებო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ბელგიის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი ბონ ლ. მეერი. დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდნენ ბელგიისა და ლუქსემბურგის მრეწველობის ექსპერტები და წარმომადგენლები.

ბელორუსიის ვაგზალზე დელეგაციას შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენლები: კოლეგიის წევრი ბ. ნ. ტუმეკინი, დასავლეთ ევროპის განყოფილების სამართველოს უფროსი ბ. პ. პროკოფირონოვი და საოქმო განყოფილების უფროსის მოადგილის შემსრულებელი ნ. ი. კუზმინსკი.

დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე ბელგიის ელჩი ბ-ნი ე. ლე ვე, ლუქსემბურგის დესპანი ბ-ნი რ. ბლუმი და სსრ კავშირში ბელგიის საელჩოს წევრები.

ამავე დროს მოსკოვს ჩამოვიდა სსრ კავშირის საგარეო წარმომადგენელი ბელგიაში მ. ვ. ბოლშაკოვი.

ქრონიკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამხანაგი ვალერიან ალექსანდრეს-ძე ზორინი დანიშნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად მოადგილედ.

***

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. **ს. ბ. ვინეცკიმ** გაათავისუფლა ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის მინისტრად.

***

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. **ს. ბ. ვინეცკი** **ალექსანდრეს-ძე ბორეიშოს** ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის მინისტრად.

ბელგიელ-ლუქსემბურგელ ინჟინერთა ჯგუფი

ბელგიელ-ლუქსემბურგელ ინჟინერთა ჯგუფი, ბ-ნ ლ. მეერის ხელმძღვანელობით, ეწვია ბელორუსიის ვაგზალს, ბელორუსიის ბაზარს, ბელორუსიის ბანკს, ბელორუსიის ბანკნოტთა ბეჭდვის ფაბრიკას, ბელორუსიის ბალეტის თეატრს, ბელორუსიის ბიბლიოთეკას, ბელორუსიის ბოტანიკურ ბაღს, ბელორუსიის ბიბლიოგრაფიულ ბიუროს, ბელორუსიის ბალეტის ბალეტმეისტრ ბ. ბ. ბ.

ᲥᲐᲓᲐᲥ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ № 120 ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲠᲘᲥᲘ

ᲕᲘᲐᲩᲔᲡᲚᲐᲕ ᲛᲘᲩᲔᲘᲚᲘᲡ-ᲫᲔ ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘ

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘᲡᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲚᲐᲙᲔᲠᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ

მეტროშენის კულტურის სასახლეში 29 ნოემბერს ქალაქ მოსკოვის მოლოტოვის № 120 საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიის სხდომაზე იმ საწარმოთა კოლექტივების წარმომადგენლების მონაწილეობით, რომლებმაც მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასასახელეს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ა. ი. სიმაკოვმა სხდომის გახსნისას განაცხადა, რომ კომისიაში შემოსულია მოლოტოვის სახელობის ქარხანა „ტოჩიზშვერიტელის“, ქარხანა „მანომეტრის“ და კლარა ცეტკინის სახელობის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა საერთო კრებების ოქმები, რომლებმაც ერთსულოვნად დაასახელეს დიდი ტალინის უახლეესი თანამებრძოლის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის კანდიდატურა.

ამხ. სიმაკოვის ცნობას დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

— მოხარული ვარ, გაცნობოთ,—ამბობს შემდეგ ამხ. სიმაკოვი, — რომ საოლქო კომისიაში შემოსულია ამხანაგ მოლოტოვის განცხადება მისი თანამობრძოლ № 120 საარჩევნო ოლქში.

ამ ცნობას მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

სიტყვა აიღო ქარხანა „ტოჩიზშვერიტელის“ ოსტატმა სტახანოველმა ა. დ. ზაკატო�მ. მან სთქვა:

— ღირსშესანიშნავ დღეს შეგიკრებთ ჩვენ ინსტიტუტის, რომ რეგისტრაციაში გავაცხაროთ მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი. დღეს მთელმა ჩვენმა ქვეყანამ გიოგო მოსკოველთა სახელოვანი საწარმოო გამარჯვება. ამ გამარჯვების შესახებ სიამაყის გრძნობით აცნობეს მოსკოველებმა თავიანთ წერილში ამხანაგ სტალინს. ჩვენთან ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისთვის. ბევრი სტახანოველი კისრულობს პირად ვალდებულებას — ხუთი წლის ნორმები შეასრულოს 3-3,5 წელიწადში.

ჩვენი ქარხნის კოლექტივმა თავის კრებაზე ამხ. ვ. მ. მოლოტოვი დასახელა მოსკოველი საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ მოსკოვის 120-ე საარჩევნო ოლქიდან. ამხ. მოლოტოვი ისეთი კაცია, რომელიც მთელ ხალხს უყვარს. ვიაჩესლავ მიხეილის-ძე დაუფლავი მებრძოლია ჩვენი სამშობლოს ბედნიერებისათვის, მთელს მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის. ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ხმარდება სოციალისტური სამშობლოს თავდადებულ სამსახურს.

— ქარხანა „ტოჩიზშვერიტელის“ კოლექტივის სახელით, — ამბობს ამხ. ზაკატოვი, — მე ვთხოვ სოოლქო საარჩევნო კომისიას რეგისტრაციაში გატაროს ამხ. ვ. მ. მოლოტოვი მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის შესახებ ქარხანა „ტოჩიზშვერიტელში“ ლაპარაკი თავის გამოსვლაში ქარხნის დირექტორმა ი. ა. ეიეფიმაცევმ.

— კოლექტივი ჩვენი ქარხნისა, როგორც ამხ. მოლოტოვის სახელს ატარებს, თავისი პრაქტიკული მუშაობით ცდილობს ღირსი იყოს ამ სპატიცი სახელის, — ამბობს ამხ. ეიეფიმაცევი.

ქარხანა „მანომეტრის“ კადრის მუშამ ლ. ვ. კოსანოვმა განაცხადა, რომ საწარმოოს კოლექტივმა იკისრა არჩევნების ფესტივალზე დამატებით გამოუშვას 3,5 მილიონი მანეთის პროდუქცია.

კარგად გამოსცქვა შეკრებილთა აზრი კლარა ცეტკინის სახელობის ფაბრიკის სტახანოველმა ა. პ. ალიეკოვამ.

— ჩვენი კოლექტივის სახელით, — სთქვა მან, — დიდ მადლობას ეუძღვნი ამხ. მოლოტოვს იმისათვის, რომ იგი დათანხმდა კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში. პირობას ვიძლევი, რომ ჩვენს მიერ ნაცხარ ახალ, გადიდებულ საწარმოო ვალდებულებებს ღირსეულად შევასრულებთ.

ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ № 120 ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ

არჩევნების დებულების საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისიამ დადგინა:

1. რეგისტრირებულ იქნას მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი, სსრ კავშირის სგარაო საქმეთა მინისტრი, დასახელებული სსრ კავშირის საკავშირო მრეწველობის სამინისტროს მოლოტოვის სახელობის ქარხანა „ტოჩიზშვერიტელის“, სსრ კავშირის მანქანათმშენებელი და ხელსაწყოთმშენებელი სამინისტროს ქარხანა „მანომეტრის“ და რსფსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კლარა ცეტკინის სახელობის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა საერთო კრებებზე, მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 120 საარჩევნო ოლქში კენჭის საყრელად.

2. არჩევნების დებულების საფუძველზე შეტანილ იქნას დეპუტატობის კანდიდატი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი საარჩევნო ბიულეტენში მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 120 საარჩევნო ოლქში კენჭის საყრელად.

3. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს საყოველთაო ცნობისათვის.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ა. ი. სიმაკოვი

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე პ. გ. ᲨᲐᲠᲘᲙᲝᲕᲐᲢᲡᲐ

კომისიის წევრები: Შ. Მ. ᲨᲐᲒᲘᲜᲘᲜ, Ე. Თ. ᲙᲝᲛᲨᲘᲜᲐ, Შ. Გ. ᲒᲠᲐᲜᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐ, Ა. Შ. ᲔᲚᲐᲢᲝᲜᲪᲔᲕᲘ.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი Ა. Მ. ᲨᲔᲚᲘᲡᲢᲘᲜ. (საკდესი).

ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

„XV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚᲐᲓ ᲙᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲐᲧᲝ“.

Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე მთავარ და გადაუდებელ ამოცანად დაადასტურა ბრძოლა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელებისათვის. პარტიამ და ხალხმა, ორმად დარწმუნებულმა, რომ ჩვენს ქვეყანას გააჩნია „აუოელოელ აუცილებელი სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის“, მტკიცედ მოჰკიდა ხელი ამ ამოცანის შესრულებას.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ინტერესები მოითხოვდა ბერძენ რიგზი გაგვეთვარებინა მძიმე ინდუსტრია. საჭირო იყო თითქმის ნულიდან შეგვექმნა ინდუსტრიის მთელი რიგი დარგები — მანქანათმშენებლობა, ფაბრათმშენებლობა, ქიმიური, მეტალურგიული და სხვა მრეწველობა. აუცილებელი იყო ახალი თვალაცვლა მრეწველობის შექმნა, სოფლის მეურნეობის თანამედროვე მანქანათმშენებელი ქარხნების ბაგა, „რათა მილიონობით წვრილ ინთაპიროვნულ გლეხურ მეურნეობებს შესაძლებობა მისცემოდათ გადასულიყვნენ მსხვილ საკოლმეურნე წარმოებაზე, ვინაიდან ამას მოითხოვდნენ ინტერესები სოციალიზმის გამარჯვების სოფლად“). ყოველივე კი საკუთარი სახსრებით უნდა შექმნა ჩვენს ქვეყანას. სამეცოთა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით შესძლო ამ ამოცანათა ბრწყინვალედ განხორციელება. უკვე 1927 წლის დასასრულისათვის ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საქმეში ფეოდალურ წარმატებები იქნა მოპოვებული. საკითხი „ვინ-ვის?“ მრეწველობაში სოციალიზმის სასარგებლოდ გადწყდა.

სხვა სურათს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობა. თუმცა მან მთლიანად იმამდელი დონის პროდუქციაზე მეტი მისცა ქვეყანას, მაგრამ მარცვლეული მეურნეობის მოსავლიანობა ომამდელი მოსავლიანობის მხოლოდ 91 პროცენტს უდრიდა, ხოლო მისი სასაქონლო ნაწილი 37 პროცენტს ძლიას აღწევდა. ამავე დროს ქვეყნის წინაშე არსებობდა მარცვლეული მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის შემდგომი შემცირების საშიშროება, რადგან სოფლად მსხვილ მეურნეობათა ფეოდალურ მეურნეობებად დაშოშაცეობის პროცესი, რომელიც 1918 წელს დაიწყო, კვლავ გრძელდებოდა. წვრილ ლეგეურ მეურნეობებს არ შეეძლოთ სასაქონლო მარცვლეულით დაეკმაყოფილებინათ ქვეყნის გაზრდილი მოთხოვნილება. ეს ჰქმნდა მარცვლეული მეურნეობის კრიზისს.

ასეთი იყო ჩვენს ქვეყანაში არსებული ვითარება საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობის გახსნის წინა.

საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობა გაიხსნა 1927 წლის 2 დეკემბერს. ყრილობაზე ამხანაგი ი. ბ. სტალინი გამოვიდა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშით. ყრილობამ მოისმინა აგრეთვე მოხსენებანი სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შედგენის დირექტივებზე, სოფლად მუშაობის შესახებ და სხვ.

ამხანაგმა სტალინმა საანგარიშო მოხსენებაში საერთაშორისო მდგომარეობის ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე პარტიისა და ხალხის წინაშე დასახა უდიდესი მნიშვნელობის ამოცანები, ყველა ქვეყნის ჩაგრულ კლასებსა და ხალხთა შორის სოლიდარობის გაძლიერებისათვის ბრძოლა, ახალი იმპერიალისტური ომებისათვის მზადების წინააღმდეგ, მტკიცე მშვიდობისათვის და ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის აბალლებისათვის ბრძოლის ამოცანები.

ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობის დახასიათებისას ამხანაგი სტალინი ხაზს უსვამდა სოციალიზმისათვის ბრძოლაში მიღწეულ მთელ რიგ წარმატებებს, რომლებიც მოპოვებულ იქნა პარტიის XIV ყრილობის შემდეგ ვანვლილ პერიოდში. დიდი ბელადი მიუთითებდა ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის დამახასიათებელ ჩქარ ტემპზე და აღნიშნავდა, რომ სახალხო მეურნეობის განვითარება არ ხდება „პროდუქციის უმრალო რიცხობრივი ზრდის წესით“, „არამედ ხდება გარკვეული, ზუსტად განსაზღვრული მიმართულებით. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში ვადამწყვეტ ფაქტორს ორი ძირითადი გარემოება წარმოადგენს: პირველი — ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება სწარმოებს **ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის** ნიშნით,... მეორე—სახალხო მეურნეობის განვითარება, ინდუსტრიალიზაციის განვითარება სწარმოებს **მეურნეობის სოციალისტური ფორმების ხელფრთი წონის და მისი მბრძანებელი როლის გაძლიერების მიმართულებით,** როგორც წარმოების დარგში, ისე საკრედიტო დარგში კერძო სასაქონლო და კაპიტალისტური სექტორის ბარეზზე“). ეს გარემოება აშკარად ღაღადებდა, რომ ჩვენი ქვეყანა სწრაფად მიდიოდა სოციალიზმისაკენ. ამხანაგი ი. ბ. სტალინი პარტიის წინაშე აყენებდა ამოცანას: სოციალისტური მბრძანებელი სიმაღლეების გაფართოებისა და განმტკიცების შესახებ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, როგორც ქალაქად ისე სოფლად, რაც უნდა გიგარეულიყო კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციაზე კრასის ალებით.

ამხანაგი სტალინი მიუთითებდა მუშათა კლასისა და გლეხთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების აუცილებლობაზე, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის კიდევ უფრო განმტკიცების აუცილებლობაზე, ახალი ბურჟუაზიის იზოლირებისა და ქალაქისა და სოფლის მშრომელ ინტელიგენციასთან მუშათა კლასის კავშირის განმტკიცების აუცილებლობაზე. ბელადის მითითებებმა სათანადო ასახვა ჰპოვა ყრილობის დადგენილებებში. პარტია მტკიცედ მიეფიდა ამხანაგ სტალინის მიერ ნაჩვენები გზით.

ამხანაგი ი. ბ. სტალინი, აღნიშნავდა რა სოციალისტური მრეწველობის განვითარების მაღალ ტემპს, დასაკვნიდან: „ჩვენი სოციალისტური მრეწველობის განვითარების არაჩვეულებრივი ტემპი აშკარად და უდავოდ ადასტურებს წარმოების სიბეჭითე სოციალიზმის უპირატესობას კაპიტალისტური სისტემის წინაშე“). ამ უპირატესობის საფუძველი ის არის, რომ ჩვენი მრეწველობა ნაკოლნალიზებული მრეწველობაა, რომ იგი მსოფლიოში ყველაზე მსხვილი მრეწველობაა, რომ ჩვენს მრეწველობაში არის შესაძლებლობა გეგმაანი წესით ხელმძღვანელობისა, თვითფინანსირებულის შეტვირთვისა, რაციონალიზაციის გამოყენებისა, რომ ჩვენი მრეწველობა ვითარდება სოფლისა და ქალაქის თანდათან დაახლოების ნიადაგზე.

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘ ᲞᲚᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

25-26 ნოემბერს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები: 1. საოგტაცია-სპორტიზაგანდოვნების შესახებ მშრომელთა დებატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით, 2. მეზობლების განვითარების შესახებ, 3. ორგანიზაციული საკითხი.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის სოლქო კომიტეტის მდივანმა პრაბაგანდის დარგში ამხ. ა. ცუდუხოვმა.

— ჩვენი ოლქის პარტიული ორგანიზაციები, — სთქვა მან, — მნიშვნელოვან მეშმობას ეწევიან ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით. საგიტაციო მუშაობის გაძლიერების მიზნით მნიშვნელოვნად გადდგა აგიტატორების რაოდენობა. ამჟამად ოლქში საგიტაციო მუშაობას ეწევა 1.631 აგიტატორი. ისინი გაერთიანებული არიან 72 აგიტკოლექტივში. აგიტატორები ამობრჩეულნს სისტემატურად განუმარტავენ ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებატებას, აწარმოებენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებს, ესაუბრებიან საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე, მეოთხე სტალინური ხუთეწლიანი გეგმით საბჭოთა ხალხის წინაშე დასახულ ამოცანებზე.

კომუნისტებმა მოიყვანეს მოწინავე აგიტკოლექტივების მუშაობის დამახასიათებელი მაგალითები. სტალინისის საბჭო

საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა სხდომა აუსტრიის ხელშეკრულების შესახებ

ლონდონი, 29 ნოემბერი. (საკუთარი). დღეს ლონდონში შესდგა საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა მესამე სხდომა აუსტრიის ხელშეკრულების შესახებ. სხდომის პირველ ნახევარში საფრანგეთის წარმომადგენელმა პასუხი გასცა სამეთა წარმომადგენლის შეკითხვებზე, რომლებიც შეეხებოდა საერთაშორისო დელეგაციის მიერ წამოყენებული წინადადების ავტორობაზე ყოფილ გერმანულ ფაშისტებზე. შემდეგ დიდ ბრიტანეთისა და ამერიკის შეფრთ-

დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე სესია

ნიუ-იორკი, 30 ნოემბერი. (საკუთარი). 2 სიმთა და 30 წუთზე გრინვიჩის დროით დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე სესია, რომელიც 16 სექტემბერს გაიხსნა.

29 ნოემბრის პლენარული სხდომაზე 33 ხმის უმრავლესობით 13 ხმის წინააღმდეგ (ათმა თავი შეიკავა, ერთი არ დასწრებია) მიღებულ იქნა პალესტინის გაყოფის გეგმა. ამრიგად, პალესტინის გაყოფისა და ეკონომიური კავშირის შექმნის შესახებ რეკომენდაციების მიღებამ დამთავრა პალესტინის პრობლემის განხილვა, რაც მიმდინარეობდა 6 თვის განმავლობაში და რაც გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის სხდომებზე დიდწყო მიმდინარე წლის აპრილში. პალესტინის გაყოფის გეგმის მიღების საკითხზე კენჭისყრის ორს ხმით ნაკლებ შემდეგნაირად: 33 გეგმას ხმა მისცეს ალტერნიალ, ბელგიამ, ბოლივიამ, ბრაზილიამ, ბელორუსიამ, კანადამ, კოსტარიკამ, ჩეხოსლოვაკიამ, დანიამ, დომინიკელთა რესპუბლიკამ, ეკვადორმა, საფრანგეთმა, გვატემალამ, ჰაიტიმ, ისლანდიამ, ლიბერიამ, ლუქსემბურგმა, პოლანდიამ, ახალი ზელანდიამ, ნიკარაგუამ, ნორვეგიამ, პარაგვაი, პარაგვაიმ, პერუმ, ფილიპინებმა, პოლონეთმა, შვედეთმ, უკრაინამ, სსრ კავშირმა, ბელორუსეთმა ზაპატაბა, ვენესუელამ. წინააღმდეგ ხმა მისცეს ავღანეთმა, ეუბამ, ეგვიპტემ, საუდის არაბეთმა, ინდოეთმა, ირანმა, ირაყმა, ლიბანმა, პაკისტანმა, სალეთის არაბეთმა, სირიამ, თურქეთმა, იემენმა. თავი შეიკავეს არგენტინამ, ჩილემ, ჩინეთმა, კოლუმბიამ, სალვადორმა, ეთიოპიამ, ჰონდურასმა, მექსიკამ, ინგლისმა, ოდგანოლეთმა, ეკენჰაურის ერ დასწრებია სიხმა.

ამის შემდეგ პალესტინაში სხდომამ ერთხმად მოიწონა თავმჯდომარე ანანას წინადადება — შეიქმნას კომისია ხუთი სახელმწიფოსგან, რომელიც ოთხკვირეულ ვადებზე ხელისუფალთა ადგილებს გადადასვამ პალესტინაში. კომისიის შემადგენლობაში ირიან ბოლივია, ჩეხოსლოვაკია, დანია, პანამა და ფილიპინები.

მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ბულგარეთსა და იუგოსლავიას შორის

სოფია, 29 ნოემბერი. (საკუთარი). დღეს აქ გამოქვეყნდა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ბულგარეთსა და იუგოსლავიას შორის. ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ ბულგარეთი და იუგოსლავია ერთობლივად მიიღებენ ყველა საერთო ზომას მათი უშიშროების, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესებისაბამად. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სახელმწიფო თავს დაესხმის ხელშეკრულების დამდე ერთიერთი მხრიც და საერთაშეკრულების მის დამოუკიდებლობას, მეორე მხარე დაუყოვნებლივ ყოველგვარ ხელშეწყობას მას საამქროში და ყოველგვარ სხვა დახმარებას, იუგოსლავია და ბულგარეთი კისრულობენ ეკონომიურ დახმარებას ან ომიანობა, რომელიც ომებში ამ ხელშეკრულების დამდეი ერთიერთ მხრივ ან ერთ-ერთ-ერთ მხარეს ან ერთ-ერთ-ერთ ან ერთ-ერთ-ერთ ან ერთ-ერთ-ერთ